



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მალაშხია იური ამბერკის ძე

მალაშხია იური ამბერკის ძე (31. XII. 1928, სოფ. ნაკითუ, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 22. X. 2000, თბილისი), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1986), ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის წევრი (1997).

1951 დაამთავრა თსსი. 1951-53 იყო გაგრის ინფექციური საავადმყოფოს მთ. ექიმი; 1958-62 – თბილ. პირველი საავადმყოფოს ნერვული განყ-ბის ორდინატორი, 1986-იდან – კათედრის პროფესორი და კლინ. ნეიროიმუნოლოგიის განყ-ბის გამგე. მისმა სადოქტორო დისერტაციის ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას.

მ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და 2 გამოგონების ავტორი, რ-ებიც ეხება ნევროლოგიისა და ნეიროიმუნოლოგიის აქტ. საკითხებს. მისი მეცნ. აღმოჩენაა თავზურგტვინის სითხის თვისება, განახორციელოს იმუნოლოგიური ზედამხედველობა ტვინის სუბარაქნოიდულ სივრცეში.

მ. იყო ნეიროიმუნოლოგიის საზ-ბის წევრი. დაჯილდოებულია პ. სარაჭიშვილის პრემიით (1995), „ღირსების ორდენით“ (1999).

2000 მსოფლიოს აღმოჩენათა ასოციაციის მიერ წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ნეიროიმუნოლოგიის დარგში.